პრეაპოკალიპტური ჯოკერი (ან თუნდაც პოკერი)
ფანტასმაგორიული პიესა ერთ მოქმედებად

მოქმედი პირები:

აგნოდიკე
ხუანა ინეს დე ლა კრუსი
რაიკო ჰირათსუკა
რიგობერტა მენჩუ

აგნოდიკე: ბანქოს თამაში რა ქალის შესაფერისი საქმეა?
კრუსი: ბანქოსი?
ჰირათსუკა: მოიცა და როდის გვიკეთებია ის საქმე რაც ქალის შესაფერისი ყოფილა?
მენჩუ: არც არასდროს. ან ვინ საზღვრავს ამას ?
აგნოდიკე: ღმერთები!
კრუსი: ღმერთმა ევას რამეზე უთხრა ეს არ ქნაო? აკრძალულ ხილზე არ ვამბობ, ეგ ორივეს აუკრძალა.... აი სხვა რამეზე თუ უთხრა ?! მაგალითად, ადამმა ეს ქნას და შენ არაო?! მე ეგეთი არაფერი მახსენდება.
ჰირათსუკა: პრინციპში არც მე.
აგნოდიკე: ღმერთი ? მხოლობითში? მარტო ერთი ? ღმერთი რომ ბევრია?
კრუსი: ეგ შენთვისაა ბევრი, ჩვენთვის კი სხვადასხვა. ჯერ მაგდენი არ იცი. მოვა დრო და გაიგებ, მანამდე კი საუკუნეები უნდა გავიდეს.... ბევრი საუკუნე....
აგნოდიკე: ზევსი ნუ განმირისხდება და ყველა ღმერთი კარგად იყოს და იქით იყოს და რას ვამბობდი? და ევა ვინაა?
კრუსი: რას და იმას რომ ბანქოს თამაში ქალის საქმე არააო. და მე გიპასუხებ "ეგ ვინ განსაზღვრაო?". ევამდე კიდევ ლილიტი იყო, და ორივეს გაიცნობ როცა იქნება, მაგრამ დღეს არა. ეს სხვა ამბავია, სხვა პერსონაჟებით და აქ მაგ ორს არაფერი ესაქმებათ.
ჰირათსუკა: მაგათმა ბანქოს თამაშიც არ იცოდნენ ისე მგონი.....

(ისმის შორიდან კაცის ჩურჩული: ქალებს წერა არ შეუძლიათ, ქალებს ხატვა არ შეუძლათ. აიხედავენ ზევით, გადახედავენ ერთმანეთს და გადაიკისკისენენ)

ერთხმად: მისტერ ტენსლის რომ ვკითხოთ ქალებს ალბათ არც ბანქოს თამაში არ შეუძლიათ.
აგნოდიკე: მოიცა და ჩვენ ახლა რას ვთამაშობთ?
კრუსი: ჯოკერს?

ჰირათსუკა: იქნებ სულაც პოკერს?
აგნოდიკე: რა განსხვავებაა?
მენჩუ: აზრზე არ ვარ....
აგნოდიკე: ხოდა იქნებ მართალია მისტერ ტენსლი? და საერთოდაც ეს მისტერ ტენსლი ვინაა?
კრუსი: შეუძლებელია მართალი იყოს.
ჰირათსუკა: მისტერ ტენსლიმდეც ბევრი სხვაც გვიტკიცებდა, რომ.... უი, დამხრჩვალი ფინიკიელი მეზღვაური, და აი ჩამოკიდებული კაცი.....
აგნოდიკე: მოიცა ჩვენ ჯოკერს ვთამაშობთ ?
მენჩუ: თუ პოკერს?
კრუსი: ან იქნება ტაროს კარტია და საერთოდაც ვმკითხაობთ?
ჰირათსუკა: მოიცა რა ახლა მადამ სოზოტრისი ნუ გეგონება საკუთარი თავი.....
კრუსი: ცოტა მადამ სოზოტრისზე მეტი მაქვს გაკეთებული.....
ჰირათსუკა: და შენ გჯერა მაგის? ხალხს მადამ სოზოტრისის და მისი ბანქოს ნახატების უფრო სჯერა ვიდრე შენი.....
აგოდიკე: არა, ხალხს ხალხის სჯერა.... აი, ჩემი რომ არ დაეჯერებინათ, ხომ ჩამქოლავდნენ? ხალხი გვერდში რომ არ დამდგომოდა სიკვდილით დასჯა არ ამცდებოდა, ამიტომ ნუ ხარ ასეთი სკეპტიკური.... და შენ, ხო აი შენ, თუ ხალხის არ გწამს და მათი არ გჯერა რისთვის წერდი ან რისთვის იბრძოდი?!
ჰირათსუკა: ქალებისათვის..... იმიტომ რომ მათ ხმის ამოღების უფლება ჰქონოდათ... *(წამოდგებიან სკამებიდან, როკვას იწყებენ და თან რიტმში იწყებენ)* ტვისტი და ტვისტი. ჰალი-გალი!
აგნოდიკე: ფიცი და ფიცი. ქალი. ქალი.
კრუსი: ბიჭი და ბიჭი. ქალი. ქალი.
მენჩუ: როკი და როკი. ჰალი-გალი!
ჰირათსუკა: ხომ არ გეშინია?
აგნოდიკე: მეშინია!
კრუსი: რატომ გეშინია?
მენჩუ: მეშინია!
ჰირათსუკა: კიდევ გეშინია?
აგნოდიკე: მეშინია!
კრუსი: გესმის? გერშვინია!
მენჩუ: გერშვინია!
ჰირათსუკა: კონიაკს დალევ?
აგნოდიკე: მანგოს წვენს!
კრუსი: უნდა გაკოცო!
მენჩუ: მაკოცე!
ჰირათსუკა: შენ არ მაკოცებ?
აგნოდიკე: მე არა!

კრუსი: მაშინ მე ორჯერ გაკოცებ!
მენჩუ: ტვისტი და ტვისტი, როკი!
ჰირათსუკა: დრო კი, ძვირფასო, დრო კი
აგნოდიკე: მიახრიგინებს ვნებებს,
კრუსი: როგორც პარტიზანს დროგი!
მენჩუ: ქალი და ქალი! ჰალი-გალი!
ჰირათსუკა: ჰალი-გალი!
აგნოდიკე: ქალი, ქალი!
კრუსი: ჰალი-გალი!
მენჩუ: ქალი. ქალი!

(დაენარცხებიან სკამებზე დაღლილები და კარტს აიღებენ ხელში)

ჰირათსუკა: დროა ასეთი: უძრავი, უაზრო, უმუსიკო- ძვირფასო, ვინც ამას ამბობ, შენთვისაა დრო ასეთი: უძრავი, უაზრო და უმუსიკო....

(უკანა ფონზე ექოსავით ისმის ქალი და ქალი! ჰალი-გალი! ჰალი-გალი! ქალი, ქალი! ჰალი-გალი! ქალი, ქალი)

(ამ დროს ისმის ისევ მისტერ ტენსლის ჩურჩულის ხმა: ქალებს წერა არ შეუძლიათ, ქალებს ხატვა არ შეუძლათ)

ჰირათსუკა: პატივცემულო მისტერ ტენსლ თუ წერა არ შემიძლია როგორღა ვწერდი რატომ არ კითხულობთ ?
აგნოდიკე: და ვინმე კითხულობს იმას რასაც წერდი?
ჰირათსუკა: ეგრე რომ არ იყოს, რაღატომ დავწერდი? ვიღაც აუცილებლად წაიკითხავს..... სხვა შემთხვევაში ხომ ყველაფერი სისულელეა და ამაო? აი, შენ, ხო შენ რატომ შველოდი ქალებს თუ ფიქრობდი რომ ყველაფერი ამაოა?
აგნოდიკე: წერა ამაოა, მედიცინა მარადიულია.... წერით დაწერ და ჰოპ შეიძლება დაიწვას, შეიძლება დაიკარგოს, შეიძლება მოსაწყენი გახდეს....
ჰირათსუკა: მედიცინა ვითარდება.... და დღეს ვიღას ანაღვლბს შენი მეთოდები ?
აგნოდიკე: სამაგიეროდ ქალები ხომ გადარჩნენ?!
ჰირათსუკა: ქალები ჩემი ნაწერებითაც გადარჩნენ, რადგან სხვანაირად დაიწყეს ხედვა..... დასაწყისში იყო....
კრუსი: დასაწყისში იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან, და სიტყვა.....
ჰირათსუკა: არა, დასაწყისში, ქალი იყო მზე....
კრუსი: ამატერატუ?
ჰირათსუკა: შენ რა იცი?

კრუსი: წეღან არ ვუთხარი ანგოდიკეს რომ მისი ღმერთი ბევრია, ჩვენი ღმერთები კი სხვადასხვა.
ჰირათსუკა: 1913 წელს ესე დავწერე ქალებისათვის.... და სახელი რაიკოც მე თავად ავირჩიე?
ანგოდიკე: რატომ?
ჰირათსუკა: რაიკო ქუხილის ჩიტს ნიშნავს. და ჩემს სიტყვას უნდა ექუხა.
მენჩუ: ქუხილის ჩიტების კულტი აქვე ჩვენთან ახლოს იყო. ჩვენ კი ცეცხლის ჩიტები გვყავდა..... მაიას ცივილიზაციის კიჩეს ტომის წარმოადგენელი მე, გვატემალის ტერიტორიის მკვიდრი მოსახლე, რიგობერტა მენჩუ მოგესალმებით....
აგნოდიკე: მე კიდევ ყველაფერზე უარი ვთქვი მედიცინისათვის, თმა მოკლედ შევიჭერი, კაცად გადავიცვი და ისე ვმკურნალობდი პაციენტებს მაშინ ქრისტესშობამდე მეოთხე საუკუნეში.... და სწორედ ჩემმა პაციენტებმა გადამარჩინეს, როცა ჩემი სქესი გაირკვა.... და მე რომ არა, ქალებს არც არასდროს მისცემდენ იმის უფლებას ექიმის პროფესიას დაუფლებოდნენ, ჩვენ ხომ არავინ არადროს არ აღგვიქვამდა სერიოზულად....

(ზევიდან ისევ ისმის მისტერ ტენსლის ხმა: ქალებს წერა არ შეუძლიათ, ქალებს ხატვა არ შეუძლათ)

კრუსი: მე მექსიკის საეკლესიო ხელმძღვანელობამ ბრალი დამდო ქედმაღლობასა და მონაზვნის მორჩილების აღქმის უგულველყოფაში. თავის დასაცავად ჩემი ყველაზე ცნობილ ნაწარმოები - „პასუხი და ფელოტეს“ გამოვაქვეყენ, სადაც ვცდილობდი დამემტკიცებინა, რაოდენ საჭიროა ქალისთვის განათლება და შემოქმედება... მაგრამ, საპირისპირო შედეგი მივიღე: ჩემგან მოითხოვეს, სიღარიბის აღთქმა დამედო. სიღარიბის აღთქმასთან ერთად, დავდო პირობა, რომ აღარასოდეს ავიღებდა ხელში კალამს და ფურცელს. გავყიდე უმდიდრესი ბიბლიოთეკა, სამეცნიერო თუ მუსიალური ინსტრუმენტები და მთელი ჩემი ქონება ღარიბებს დავურიგე. მთელი მეხიკო აღელდა ჩემი ღვთისმოსავობითა და ქველმოქმედებით. არქიეპისკოპოსს გავუჩალიჩე, ამის შემდეგ იძულებული გახდა მოებაძა ჩემთვის - ერის სათაყვანებელი მონაზვნისთვის. გაყიდა ყველა წიგნი და ძვირფასეულობა, ანტიკვარიატი და საკუთარი საწოლიც კი. *(იცინის)* 1695 წელს, მონასტერში ჭირის ეპიდემია გავრცელდა. ავადმყოფი დების მოვლისას, მეც დავავადი და იცით რა ვქენი? აღთქმა არ დავარღვიე და კალმის ნაცვლად, საკუთარ სისხლში ამოსვრილი თითით, კელიის კედელზე დავწერე ანდერძი. „აქ დაიწერება დღე, თვე და წელი ჩემი გარდაცვალებისა. ღვთისა და მისი წმინდა დედის სიყვარულის სახელით, ვემუდარები ჩემს საყვარელ დებს: ჯერაც ცოცხლებს და უკვე წასულებს, - მომიხსენიეთ მე მის წინაშე, მიუხედავად იმისა,

რომ მე ვიყავი ქვეყნად ყველაზე უვარგისი ქალი . ხელს ვაწერ: მე, ხუანა ინეს დე ლა კრუსი''.

ჰირათსუკა: კარგად კი გაგიჩალიჩებია იმ საზიზღარი არქიეპისკოპოსისათვის. ალბათ არ ელოდა ასეთ რამეს?

მენჩუ: საწოლის გაყიდვაზე ხომ საერთოდ ავყირავდი....

კრუსი: ლექსიც კი დავწერე კაცებზე, რომლებიც ყველაფერს ქალებს აბრალებენ....

ჰირათსუკა: და იმაზე თუ რაოდენ სულელები არიან ამგვარი კაცები....

კრუსი: და შენ რა იცი?

ჰირათსუკა: სიკეთე არასდროს იკარგებაო ხომ გაგიგია?

აგნოდიკე: არასდროს იკარგება მართლაც. ჩემმა გადარჩენილმა პაციენტებმა საბოლოოდ მე გადამარჩინეს....

ჰირათსუკა: ჰოდა, როგორც სიკეთე არ იკარგება არასდროს, ისე არ იკარგება არც სიტყვა.

აგნოდიკე: და რომ დაიწვას?

ჰირათსუკა: შენ ჯერ არ იცი, მაგრამ ხელნაწერები არ იწვიან....

აგნოდიკე: ეგ როგორ?

ჰირათსუკა: აი, ასე ჩვეულებრივად. მაგრამ სანამ მაგას გაიგებ ჯერ ბევრი საუკუნე უნდა გავიდეს....

მენჩუ: რომ იწვოდეს პირველ რიგში მე, რიგობერტა მენჩუ“ და „საზღვრების გადაკვეთა“ დაიწვებოდა. 1979 წელს ჯარისკაცებმა მოიტაცეს, აწამეს და დახოცეს დედაჩემი და ჩემი ძმა, პოლიციელთა ტყვიას ემსხვერპლა მამაჩემიც. სამოქალაქო ომის წლებში 200 000-ზე მეტი ადამიანი გამოესალმა სიცოცხლეს. მე კი მექსიკაში გავიქეცი და მაიას ტომის ხალხის პრობლემები მსოფლიოს გავაცანი....

ჰირათსუკა: და შენ უთხარი ქალებს მთელი მსოფლიოდან რომ შემოეხედათ შენთვის და ყოფილიყვნენ შენსავით: ნათელი და კაშკაშა. ბრდღვიალა მზე. განა სხვა რამეს ვწერდი 1913 წელს, როცა ვამბობდი, რომ დასაწყისში ქალი ნამდვილად მზე იყო. ავთენტური ადამიანი. ახლა ის მთვარეა, მკრთალი და მინავლებული მთვარე, რომელიც სხვაზეა დამოკიდებული და სხვის ბრწყინვალებას ასახავს.

აგნოდიკე: ე.ი. რა გამოდის, რომ მე მთვარე ვარ?! რადგან კაცად დამჭირდა გადაცმა იმისათვის, რომ ექიმი გავმხდარიყავი?!

ჰირათსუკა: და ერთი წამით არ იფიქრო, რომ ჩვენ შენს მერე.... ბევრი საუკუნის მერე, ისევე არ გვიჭირდა, როგორც შენ.... ქალებივით გვეცვა, თუმცა ყველა მისტერ ტენსლივით ჩაგვჩურჩულებდა გარშემო ყურში.... ქალებს წერა არ შეუძლიათ, ქალებს ხატვა არ შეუძლიათო....

(*ზევიდან ისმის მისტერ ტენსლის ჩურჩული:* ქალებს წერა არ შეუძლიათ, ქალებს ხატვა არ შეუძლათ)

მენჩუ: როიალ ფლეში.... (დაყრის კარტს)

(ისმის ხმა რადიოდან: და იმ მუშაობის აღიარების ნიშნად, რასაც იგი აწარმოებდა მკვიდრი მოსახლეობის სოციალური სამართლიანობისა და ეთნო კულტურულ შერიგების კუთხით 1992 წლის ნობელის პრემია მშვიდობის დარგში გადაეცემა რიგობერტა მენჩუს)

აგნოდიკე: მოიცა ჩვენ ჯოკერს ვთამაშობთ ?
მენჩუ: თუ პოკერს?
კრუსი: ან იქნება ტაროს კარტია და საერთოდაც ვმკითხაობთ?
ჰირათსუკა: ასეა თუ ისეა ათიან გული, ათიან აგური, ათიან ყვავი, რვიან ჯვარი და რვიან გული მაქვს და ნეტავ რას ნიშნავს?
მენჩუ (*გადაიკისკისებს*): ფულჰაუზი გაქვს მეგობარო.
ჰირათსუკა: და ეგ რას ნიშნავს?
მენჩუ: იმას რომ მისტერ ტენსლი ორჯერ დავამარცხეთ.
აგნოდიკე: ანუ?
კრუსი: ანუ ქალებს წერა შეუძლიათ. ქალებს ხატვა შეუძლიათ და ბანქოს თამაშიც შეუძლიათ კიდევ ზედ დამატებული.

(წამოხტებიან ბედნიერი სახით და იწყებენ როკვას)

ჰირათსუკა: ტვისტი და ტვისტი. ჰალი-გალი!
აგნოდიკე: ფიცი და ფიცი. ქალი. ქალი.
კრუსი: ბიჭი და ბიჭი. ქალი. ქალი.
მენჩუ: როკი და როკი. ჰალი-გალი!
ჰირათსუკა: ხომ არ გეშინია?
აგნოდიკე: არ მეშინია!
ჰირათსუკა: ხომ არ გეშინია?
კრუსი: არ მეშინია!
ჰირათსუკა: ხომ არ გეშინია?
მენჩუ: არ მეშინია!

/ფარდა/